საქართველო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენით „ლენინი“ დაჯილდოვდა

დიდი ინტერესი

გივი ზვიადაძის „თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ინგლისური ენის შეპირისპირებითი ლექსიკონის“ გამო

◆

1972 წლის აგვისტოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა გივი ზვიადაძის **„თანამედროვე ამერიკული და ბრიტანული ინგლისური ენის შეპირისპირებითი ლექსიკონი“** (რედაქტორები ინგლისელი ლინგვისტი ჯონ მეინი და პროფესორი ვენერა ურუშაძე).

წიგნმა დიდი გამოხმაურება და მოწონება ჰპოვა. ავტორის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა.

ახალგაზრდა მეცნიერმა გივი ზვიადაძემ მიიღო ჩიკაგოს უნივერსიტეტის ინგლისური დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ რეიფენ მაკდავიდისა და მიჩიგანის უნივერსიტეტის ინგლისური დეპარტამენტის პროფესორის ალბერტ მარკორტის გამოხმაურება:

— „მე და ჩემი ოჯახის ყველა წევრი ნასიამოვნები დავრჩით ამ ნაშრომის გაცნობით. მოგილოცავთ მეტად საინტერესო და სასარგებლო წიგნის შექმნას. უახლოეს ხანში გამოვაქვეყნებ წერილს მის შესახებ ინგლისური ლინგვისტიკის ჟურნალში. ამას გარდა, მოვითხოვე თქვენი ნაშრომის შესახებ გამოქვეყნდეს ოფიციალური რეცენზია.

თქვენ ჩემშარიტად საჭირო, სასარგებლო აკადემიური წიგნი შექმენით“.

— „თქვენმა წიგნმა მთელი გულისყურით მიმიზიდა, წიგნის ჩემთვის მეტად საინტერესო და სასარგებლო წიგნის შექმნას. უახლოეს ხანში გამოვაქვეყნებ წერილს მის შესახებ ინგლისური ლინგვისტიკის ჟურნალში. ამას გარდა, მოვითხოვე თქვენი ნაშრომის შესახებ გამოქვეყნდეს ოფიციალური რეცენზია.

თქვენ ჩემშარიტად საჭირო, სასარგებლო აკადემიური წიგნი შექმენით“.

ავტორმა წიგნზე მიიღო ამერიკაში ყველაზე კომპეტენტური მეცნიერული ჟურნალის „ამერიკან სპიჩის“ რედაქტორის, პროფესორ ჯონ ალგეოს ოფიციალური მოთხოვნაც. მიღებულია აგრეთვე მრავალი მოთხოვნა სხვადასხვა ქვეყნიდან.

ბელა დურგლიშვილი

ივანე მაჩაბლის მოსაგონარი

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საღამო, მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მთარგმნელისა და პუბლიცისტის ივანე მაჩაბლისადმი.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვახტანგ ჯახუტაშვილმა.

ივანე მაჩაბლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა მწერალმა ვახტანგ ჭელიძემ. მან დამსწრეთ მოუთხრო, რა დიდი სიყვარულით მუშაობდა მაჩაბლისადმი მიძღვნილ წიგნზე. საინტერესო იყო ივოველ ასათიანისა და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის შალვა კვასხვაძის გამოსვლები.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თამარ თვალიაშვილი თავის სიტყვაში შეეხო ქართულ თეატრში ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი პიესების დიდ წარმატებას.

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა დავით ქუთათელაძემ წაიკითხა მონოლოგი „ჰამლეტიდან“.

საღამოს ესწრებოდნენ ივანე მაჩაბლის უახლოესი ნათესავები — შვილიშვილი მიხეილ ჩერქეზიშვილი და აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

ლიანა კვანტალიანი

შორეული მარშრუტებით

ქართულ საესტრადო კოლექტივებს ცხარე შემოქმედებითი დღეები დაუდგათ. ბევრი მათგანი ჩვენი ქვეყნის ქალაქებში დიდი წარმატებით გამოდის, ნაწილიც უცხოეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა და ახალ რეპერტუარზე მუშაობს, სხვები საზღვარგარეთული ტურნესათვის ემზადებიან.

უცხოეთში პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები გადადგა ჯგუფმა ახალგაზრდა ანსამბლმა „აისმა“, რომელიც საესტრადო და საცირკო სასწავლებლის პირველმა კურსდამთავრებულებმა შეადგინეს. იგი ჩვენი ფილარმონიის მთავარი რეჟისორის გაიოზ ჭართველიშვილის ხელმძღვანელობით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვია. მალე პოლონელები შეხვდებიან სახელმწიფო საესტრადო ანსამბლ „რეროს“, რომელიც შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადაინაცვლებს.

სულ რამდენიმე დღის წინათ უცხოეთში ორთვიანი მოგზაურობიდან დაბრუნდა პოპულარული „ორერა“, რომელიც სხვა ქვეყნებთან ერთად ქვიპროსშიც გამოვიდა. კუნძულის მცხოვრებთ ისე მოეწონათ ქართველი მსახიობების ოსტატობა, რომ მისმა მთავრობამ სთხოვა სსრ კავშირის საელჩოს „ორერას“ მონაწილეობა მიეღო ქვიპროსელთა ეროვნულ ზეიმში — ქვეყნის განთავისუფლების 10 წლისთავის აღნიშვნაში. ანსამბლი კვლავ დაადგა შორეულ გზას.

დიდ ბრიტანეთში მორიგი ტრიუმფული გამოსვლების შემდეგ სამშობლოში ჩამოვიდა ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლი. სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი ამჟამად თავიანთ მოცეკვავეებს ახალი გასტროლებისათვის ამზადებენ — მათ მოელით კონცერტები თურქეთსა და იორდანიაში.

„ციცინათელა“ აფრიკის ქვეყნებს გააცნობს თავის ხელოვნებას, ხოლო „დიერლო“ — ბანგლადეშისა და ინდოეთის საესტრადო მუსიკის მოყვარულებს.

ქართული მელოდიები მოეფინა შორეულ ნიდერლანდს

ქართული მელოდიები მოეფინა შორეულ ნიდერლანდს. ამ დღეებში ნიდერლანდის დედაქალაქ ამსტერდამში დამთავრდა ტრადიციული საზაფხულო ხელოვნების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავა, ვოკალური ოქტეტი „რუსთავი“.

აქ პირველად გამართული საბჭოთა მუსიკის კონცერტის პროგრამაში შეტანილი იყო მეგრული სიმღერების სუიტა, რომლებიც ოთარ თაქთაქიშვილმა დაამუშავა ტენორი სოლისტისათვის, ვაჟთა ვოკალური ოქტეტისა და კამერული ორკესტრისათვის.

ამსტერდამის უდიდესი დარბაზი „კონცერტ-გებაუ“, რომელიც 1.500-ზე მეტ კაცს იტევს, ხალხით გაიჭედა. აქ მოვიდნენ ამსტერდამის ხელოვნების მოყვარულნი, თვალსაჩინო მუსიკისმცოდნეები, კერძოდ, იუნესკოსთან არსებული მუსიკოსთა მსოფლიო ფედერაციის მდივანი ჯორჯ ჯორესი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

სუიტის ცალკეული ნაწილები შესრულდა „ბისზე“. მეორე დღეს კონცერტის შემდეგ თითქმის ყველა ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა ვრცელი და აღტაცებული რეცენზიები. ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ორგანომ გაზეთმა „დევაარჰეიდმა“ აღნიშნა, რომ ქართული სიმღერები მკაფიოდ ასახავენ ხალხურ-ეროვნულ თვისებებს.

გაზეთ „დე კურანტ, ნივს ვან დე დაჰის“ („კურიერი, ყოველდღიური ახალი ამბები“) რეცენზენტი წერდა, რომ ქართული ხალხური სიმღერები ხალხის სულიერი კულტურის ფასდაუდებელი საგანძურია.

სულ სხვადასხვა მიმართულების გამოცემები ხაზს უსვამდნენ, რომ ქართული ხალხური სიმღერები გახდა კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებითი შთაგონების წყარო, რომ ნიჭიერი მომღერლის ზურაბ სოტკილავასა და კარგად შეწყობილი ოქტეტის შესრულებით ამ სიმღერებმა ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭეს მსმენელებს.

„უკვდავება“

ათიოდე წლის წინათ იყალთოს სახალხო უნივერსიტეტმა დაამკვიდრა შინმოუსვლელთა დღე, რომელიც ტრადიციულად მაისის ბოლოს აღინიშნება ხოლმე. ეს იმათი უკვდავების დღეა, ვინც სოფლის მდიდარი ტრადიციები, მადლიანი მიწისა და იყალთოელი დედის სახელი საქვეყნოდ გააბრწყინა და დაამტკიცა, რომ არ არსებობს იმაზე მაღალი ცნება, ვიდრე სამშობლოს თავისუფლება და ბედნიერებაა. გმირთა სახელების სამახსოვროდ იყალთოელებმა სოფლის შუაგულში აღმართეს ფოტოსტენდი; 450 იყალთოელიდან 300 შინ აღარ მობრუნებულა, 300-მა დედამ ჩაიცვა ძაძა.

დრო გადის და სამშობლოს დიდებისათვის დაცემულთა სახელები ახალი შარავანდედით იმოსება. ამისი დადასტურებაა იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის ნაბეჭდი რვაგვერდიანი ბიულეტენი — „უკვდავება“, რომელიც კარგად არის გაფორმებული და ინტერესით იკითხება.

საბჭოთა ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ კოსმონავტმა ნიკოლაევა-ტერეშკოვამ „უკვდავების“ გამომშვებთ გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც ვკითხულობთ: „თქვენთან ერთად მოკრძალებით ვხრი თავს საქართველოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების ნათელი ხსოვნის წინაშე, ყველა იყალთოელის ხსოვნის წინაშე, ვინც უყოყმანოდ შესწირა სიცოცხლე ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავისუფლებასა და ბედნიერებას. თქვენი რაიონის ყველა მშრომელს მთელი გულით ვუსურვებ ჯანმრთელობას, წარმატებებს შრომაში, დიდ სიხარულს და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში“.

„უკვდავებაში“ გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის გმირის პროფესორ ირაკლი ციციშვილის, გენერალ-მაიორების გიორგი ყურაშვილისა და ნიკოლოზ თავართქილაძის სიტყვები, იყალთოელი ვაჟკაცების, სამამულო ომის veტერანების მოგონებები. შინმოუსვლელთა ხსოვნას ეძღვნება ლექსები და იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორის, „უკვდავების“ სულისჩამდგმელის გოგი შათირიშვილის ნარკვევი — „სიცოცხლე მათი გრძელდება“.

ჯემალ ჟურხული

„ვარნის ზაფხული-73“

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ვარნის ზაფხული-73“ წლეულს სერგეი რახმანინოვის დაბადების 100 წლისთავსა და ბულგარეთის 1923 წლის სექტემბრის ანტიფაშისტური აჯანყების 50 წლისთავს მიეძღვნა. ფესტივალის პროგრამაში იყო კონცერტები, სპექტაკლები, შემოქმედებითი შეხვედრები და მეგობრული საუბრები. ფესტივალის მონაწილეთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობდა მევიოლინე ლიანა ისაკაძე.

„სალხინო“ იტალიაში

იტალიაში წარმატებით მართავს საგასტროლო ტურნეს რუსთავის ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო“, რომელიც აქ კომუნისტურ გაზეთ „უნიტას“ ტრადიციულ ფესტივალზე მონაწილეობდა.

ფესტივალი 16 ივნისიდან 24 ივნისამდე მიმდინარეობდა ვენეციაში. 24 ივნისს, ფესტივალის დახურვის დღეს, როცა „სალხინო“ სრული პროგრამით გამოდიოდა, კონცერტზე დასასწრებად რომიდან სპეციალურად ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ენრიკო ბერლინგუერი. მან ქართული ხელოვნების დესპანებს მიულოცა წარმატება და მადლობა გადაუხადა მაღალი ხელოვნებისათვის.

დიდი წარმატება ხვდა „სალხინოს“ კონცერტს იტალიის ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს თეატრში — ტურინის სამეფო თეატრში. გაზეთებმა დაბეჭდეს აღტაცებული რეცენზიები ამ კონცერტის შესახებ.

თვითნასწავლი მხატვრის ანგარიში

თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლის საგამოფენო დარბაზში ექსპონირებულია თვითნასწავლი მხატვრის ნინო ირემაძე-ჩაჩავას ნამუშევრები.

ნინო ირემაძე-ჩაჩავას დღემდე იცნობდნენ, როგორც ერთ-ერთ კარგ მედიკოსს, დღეს კი მან თავისი მეორე პროფესიის ნაყოფი გააცნო საზოგადოებას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ხატვის უნარს იგი თურმე შესანიშნავად იყენებდა თავის პროფესიაში. გამოფენის გახსნის დღეს აღინიშნა: ნინო ირემაძეს დაუსურათებია აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის, პროფესორ მიხეილ ჩაჩავას და სხვათა ფრიად მნიშვნელოვანი ქირურგიული წვნები.

თავისუფალ დროს კი ნინო ირემაძე თურმე ხატავდა იმას, რაც მოსწონებია ან დამახსოვრებია თვალს საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ადგილებში მოგზაურობისას. დაუწერია ახლობელ ადამიანთა პორტრეტებიც, რომელთაგან ყურადღებას იქცევს ყელმოღერებული ქალის სათო სახე — ეს გახლავთ განსვენებული ქეთევან ირემაძე, და ნინო ირემაძისა, ცნობილი ლიტერატორი.

„სიზმარი“ ეწოდება ერთ-ერთ კომპოზიციას, რომლის გმირი ტყეში „გაპარული“ გოგონაა.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს არაგვისპირული და დმანისური პეიზაჟები.

„ქეთო და კოტე“ საგასტროლოდ

ათი წელიც არ არის, რაც კემეროვოს მუსიკალური კომედიის თეატრი შეიქმნა, მაგრამ მან უკვე ფართოდ გაითქვა სახელი. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა კოლექტივის მიწვევა მოსკოვში, სადაც დაიწყო მისი გასტროლები.

საგასტროლო რეპერტუარში თეატრმა შეიტანა თავისი რამდენიმე საუკეთესო დადგმა. მათ შორის არის კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“ ვლადიმერ კანდელაკის რედაქციით.

საინტერესოა

ნისქვილი ალმასებისათვის

მუდმივი დენის მიერ შექმნილმა მაგნიტურმა ველმა ქართველ სპეციალისტებს ხელი შეუწყო რთული ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში — ზესაზღვრული ხელოვნური მასალების დასაჭუჭმაცებლად მრავალფუნქციანი დანადგარის შექმნაში. დანადგარს უწოდეს ელექტრომაგნიტური წისქვილი. ამ წისქვილს უკვე ფართოდ იყენებენ ქვეყნის ალმასის მრეწველობაში. სიახლის დახმარებით წარმოების მუშაკებმა შეძლეს ყოველი ათასი კარატი ალმასის დაჭუცმაცების ღირებულება შეემცირებინათ ხუთი მანეთი და რვა კაპიკიდან... 27 კაპიკამდე!

ეს უჩვეულო წისქვილი შექმნა სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანების „საჭსაშმასალების“ დირექტორის მოადგილემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ხომერიკმა. მეცნიერის ნაშრომით, რომელზეც მას საავტორო მოწმობა აქვს მიცემული, დაინტერესდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებში.

კოსტუმი — ელექტრომაგნიტური ტალღების წინააღმდეგ

მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველებისაგან, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, გვიცავს სპეციალური ხელსაწყო — ინდიკატორი და კოსტუმი, რომელიც შეიმუშავეს თბილისის საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში.

მცირე გაბარიტის ნახევარგამტარა ინდიკატორი, რომელიც ჯიბეში ეტევა, ბგერითი სიგნალით აცნობებს მუშას, რომ იმ ზონაში, სადაც იგი იმყოფება, წარმოიშვა დაშვებულზე მაღალი ძაბვა. მაგრამ განსაკუთრებული ქსოვილისაგან დამზადებული კოსტუმი, რომელიც აირეკლავს ელექტრომაგნიტურ ტალღებს, სავსებით იცავს ორგანიზმს მავნე ზემოქმედებისაგან. ამასთან კოსტუმი საშიშ ზონაში განუსაზღვრელი დროით მუშაობის საშუალებას იძლევა.

ქართველი სპეციალისტების მიერ შემუშავებული დამცავ-გამაფრთხილებელი კომპლექსი უკვე დაინერგა ჩვენი ქვეყნის კავშირგაბმულობის სამინისტროს მთელ რიგ საწარმოებში.

იცოდეთ!

ერთი საათის განმავლობაში ჩვენი გული გადაქაჩავს 300 ლიტრ სისხლს, ხოლო 70 წლის მანძილზე — 175 მილიონ ლიტრ სისხლს, რაც თავისი მოცულობით უდრის ტბას, რომლის სიგრძეა ერთი კილომეტრი, სიგანე 70 მეტრი და სიღრმე 2,5 მეტრი. 70 წლის განმავლობაში ადამიანის გული იკუმშება 3 მილიონჯერ!

ერთი თანამემამულის „რჩევის“ გამო

ამას წინათ ერთი თანამემამულე მირჩევდა, რომ გაზეთის ფურცლებზე მეტი ყურადღება მიმექცია საქართველოს დიადი წარსულისათვის, რათა ზოგიერთი თანამემამულის გული მომეგო, ვინც ჩვენი ერის წარსულით ცხოვრობს და აწმყოს არ ხედავს, ვერ ხედავს ან სულაც შავი სათვალით ჰვრეტს.

...მირჩევდა თანამემამულე, ნაკლებად გამეშუქებინა საბჭოთა საქართველოს სინამდვილე, ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფა და ცხოვრება, მისი თანასწორუფლებიანობა დიადი საბჭოთა სამშობლოს სინამდვილეში...

განსაკუთრებით ცდილობდა დავეწერწმუნებინე, რომ არაფერი გვეთქვა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, რაც დაკავშირებული იყო 1783 წლის ტრაქტატთან...

ამ რჩევას საფუძვლად ედო ის აზრები და ის ჭორები, რასაც ცივილიზებული ევროპის ცენტრში მოქცეული ერთი რადიო ავრცელებს ზოგიერთი ქართული გვარისა და სახელის მატარებელი პიროვნების დახმარებით, თავის დროზე ერთგულად რომ ემსახურებოდნენ მეოცე საუკუნის ბარბაროზმს — ფაშიზმს.

...დავფიქრდი. გავიდა დრო და უყურადღებოდ მინდოდა დამეტოვებინა ის რჩევა, რადგან არ მსურდა იმ ჟამიანობის გახსენება, როცა ერის მიერ ხელნაკრავი ზოგიერთი თანამემამულის უგუნურობის შედეგად ევროპის ქვეყნებში ბევრი უმსგავსობა რამ ხდებოდა — იყო კაცისკვლა, ცემა-ტყეპაც, აყალ-მაყალები, სასამართლო პროცესები, დაცემა. გაყიდვა, ბეზღაობა და პარტიობანა... იყო ცოტა სინდისი, თავმოყვარეობა, მამულიშვილობის კეთილი ვალი, მრწამსი, სიწმინდე, მოქალაქეობა, შრომა, საყვარული...

არ მინდოდა ხმის ამოღება, მაგრამ... ავადობას ვერ უმკურნალებ, თუ იმ სენს არ გამოამჟღავნებ...

ერთმა გარემოებამაც ამაღებინა კალამი...

...15 ივლისს თბილისის ყოფილი მე-18 საშუალო სკოლის (დღეს 51-ე საშუალო სკოლაა, მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩის გასაყართან) 1939 წლის გამოშვების ყოფილმა მოსწავლეებმა კუკიის სასაფლაოს მივაბარეთ ჩვენი ყოფილი თანაკლასელი, პირველიდან მეათემდე ერთად რომ ვსწავლობდით — მისხეილ გაბაშვილი, სწორედ იმ ფაშისტებთან ბრძოლაში ფეხდაკარგული და ფილტვწართმული ვაჟკაცი, რომელებთანაც ზოგ-ზოგი ქართველი, საბედნიეროდ ძალიან ცოტა, პირფარეშობდა, მიწას მიგებარეთ ორმოცდაათი წლის ოჯახის მანა და საქებარი მამულიშვილი. დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან უკანასკნელ დღემდე იბრძოდა მისი ორგანიზმი იმ ავადობის დასაჯაბნად, რომელმაც ფაშისტებთან ბრძოლის დროს დარია ხელი, — ცალი ფეხი და ცალი ფილტვი წაართვეს ფაშისტებმა ბრძოლაში თავიანთი ბარბაროსული გეგმებისათვის, რომლის მიხედვითაც სხვა უამრავ ბოროტებასთან ერთად ამიერიმიერ საქართველოს დამონებაცა და ქართველი ერის დაჩაჩანაკებაც იყო გამიზნული... იბრძოლა, დაბრუნდა, დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შექმნა ოჯახი, დადგა ინჟინრად, კარგ ინჟინრად, სამშობლოს მშენებლად, მაგრამ იმავე ფაშისტების ნატყვიარებმა ჯანი მოუშალეს, დაუღრღნეს, სიცოცხლე გაუმწარეს, ბოლოს ძირს დასცეს — ცოლი დაუქვრივეს, ძმას ლევანს, დას ნათელას მხარი გამოაცალეს, მეგობრებს მისას ცრემლი გვადინეს...

იდგა თორმეტი წლის ზურიკო მამის სასახლესთან, იდგა ბავშურად გაოგნებული, სანამ შინიდან გასვენეს... მაშინღა მიხვდა ბიჭი, რომ მამას უკანასკნელად ხედავდა, რომ სამარადჟამოდ დაჰკარგა მშობლის ტუქსვა და ალერსი, ზრუნვა და ფიქრი... ატირდა ბაღელი წმინდა ცრემლით, შვილური ცრემლით ატირდა ბიჭი, რომელმაც ჯერ კარგად არ იცის, ვინ მოუკლა მამა, არ იცის, რომ ევროპის ქვეყნებში ჯერ კიდევ დადის თითო-ოროლა ქართველი, ვინც მის მამას, მის მშობლიურ ხალხს, მის წმინდათა-წმინდა სამშობლოს ებრძოდა და დღესაც აღარ ისვენებს, ვინც ისტორიას, ცხოვრების კანონს ვერაფერი გაუგო თავისდა სავალალოდ, უპირველესად.

...შინიდან გამოსვენების წინ ყოფილმა ბიჭებმა თითებზე დავითვალეთ ერთმანეთი... მარცხენა რომ მოითავა ვახტანგმა, მარჯვენიდან ერთი-თითიღა ისესხა და შეჩერდა — მეორე თითი, მარჯვენის მეორე თითი აღარ დასჭირებია! ზუსტად იმდენი ვიყავით, რამდენიც სასახლის შინიდან გამოსასვენებლად იყო საჭირო... 22 ჭაბუკიდან ექვსნიღა დაჭრილ დავაჭაცებულნი. სამშობლოს დიდებისათვის ბრძოლაში დაეცნენ ოთარ ჩაჩანიძე, დათო ჯანდიერი, ზურაბ ალანია, თეიმურაზ კუტივაძე, ჟორა ბუზალაძე, კოლია თარხნიშვილი...

გამახსენდა ბიჭები და ბოღმა მომეძალა — როგორ შეიძლება, ვინ მისცა უფლება ვიღაც ქარაქუცებს გაებედნ ლაპარაკი სახელით ერისა, რომელსაც დიადი სამშობლოს დიდებისათვის ფაშისტებთან ბრძოლაში 600 ათასი საუკეთესო მამულიშვილიდან ყოველი მესამე შინმოუსვლელად დაურჩა, რომლის მთელი თაობის ასულებმა — დედებმა, დებმა, ცოლებმა, შვილებმა ძაძა ატარეს და დღესაც ატარებენ. ფაშისტებთან ბრძოლაში დაკარგულ შვილებზე, ძმებზე, ქმრებზე, მამებზე, რომელთ დედანი დღესაც თვალცრემლიანნი ეძებენ თავიანთ მონაგარსა თუ მათ საფლავს?!

ვინ მისცა ნება ზოგ-ზოგ ქარიყლაპიას, ჯღაბნიდეს რაღაცას სახელითა ერისა, რომელმაც თავისი ბედი დიდი ხანია გადაწყვიტა ძმათა-ძმობის ოჯახში შესვლით, რომლის ცხოვრებისეულმა წინსწრაფვამ შემოდგომის ფურცლებივით მოჰფინტა და მიივიწყა „პარტიად“ წოდებული სათითაო თავგზააბნეული და ამბიციამორეული?! ვინ მისცა ზოგზოგს ნება, კრინტი დაძრას სახელითა ერისა, სახელითა ხალხისა, რომელმაც იგი მოკვეთილად გამოაცხადა, როგორც მსჯავრდებული და ხმაწართმეული?! ვინ მისცა ნება კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთ მარგალიტში — პარიზში — ხულიგანურად იხმაურონ ჩვენი ისტორიის გამო, როცა სამშობლოს გადარჩენის მიზნით ადამიანები სწირავდნენ ოჯახს, სიცოცხლეს, დედას და საყვარელ შვილს!

ვინ მისცა ნება იმათ, ქართული გვარისა და უსახელო სახელის მატარებელთ კდნიერად შეჰყეფონ საბჭოთა საქართველოს მკვიდრთ, ქართველი ხალხის დიდებული აწმყოს მისამართით ირატრატონ ათასი სისულელე, — სიბრძნედ გაასაღონ ის მონაჩმახი, რასაც „თავისუფლება“ მათვე უთხზავს საარსებო სალაფავად. იმისათვის, რომ ილაპარაკო ერის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე უნდა იყო უპირველესად მისი შვილი, მისი ღვიძლი, უნდა იცოდე მისი წარსული, აწმყო და მომავალი. იმათ კი არ იციან, რომ საქართველოს წარსული მარტო დავითისა და თამარის წარსული არ არის, არა! იმათ არ იციან, რომ წარსულით მხოლოდ ის ცხოვრობს, ვინც დღეს აღარ არის, გათავდა. გათავებულსა და არარას კი აღარც მომავალი აქვს, რომ მარტო წარსულისაკენ ხედვა ხალხის გაბრიყვების ფუჭი, ამაო იდეაა, რამეთუ ჩვენი, საბჭოთა საქართველო პატივს სცემს თავის წარსულს, ამაყობს აწმყოთი და ნათელმოსილია მომავლით!

...საქართველოს ისტორიის თამარისეული დრო დიდი ხნის წინათ ჩაბარდა წარსულს. მეცამეტე საუკუნიდან დაიწყო ავბედობა, დაიწყო საქართველოს დაცემის, აწიოკების, დაშლის და ლამის მოსპობის ხანა. თათარ-მონღოლთა შემოსევებმა ნაკუწ-ნაკუწ აქციეს სახელმწიფო, გაატიალეს ეკონომიკა, დააკნინეს კულტურა, შეურაცხჰყვეს ერის ფუძეთა-ფუძე ქართული კერა. ოაზისებად შემორჩა ჩვენს მამულს ხიზანთა სამყოფები — აღარ იყო ქალაქი, ნაცარტუტად იქცა სოფელი, ტყე გახდა ერის თავშესაფარი.

...ერი მაინც ცხოვრობდა, ხალხი შრომობდა, იბრძოდა, სულს ითქვამდა, ბეწვზე ჩამოკიდებულ არსებობას ინარჩუნებდა — ეძებდა მოყვასს, ერთმორწმუნეს, ძლიერს და ჭკვიანს. თათარ-მონღოლთაგან სულმოთქმული აღმოსავლეთი საქართველო ირანმა დაჯაბნა, დახარკა... დასავლეთში სულთნის თურქეთი ნადირობდა ადამიანებზე, ბალღებზე, ქალებზე... ბაგრატიონნი უსუსურნი აღმოჩნდნენ, დადიანები სასახლეებში ჩაიკეტნენ და ხალხის იღბალს არად აგდებდნენ, გურიელები დადიანებს ეჯიბრებოდნენ გამდიდრებაში... აღმოსავლეთის ბაზრები ქართველი გოგო-ბიჭებით იყო სავსე! გმინავდა ქვეყანა — იბრძოდა ხალხი, სულს ითქვამდა, შრომობდა, იტანჯებოდა, მაგრამ არა ტირდა, არა!

...ერისკაცნი ხსნის გზას ეძებდნენ. ამ ძებნამ ჩრდილოეთისკენ გაახედა ჩვენი სასიქადულო წინაპარნი. საუკუნეების მანძილზე გაჰყურებდნენ ერთმორწმუნე რუსეთს, როგორც ერის არსობის გადამრჩენს...

სამთავროებად დაშლილი საქართველოს აღმოსავლეთში, კახეთის მიწაზე, ერეკლე II-ის ნიჭმა იღლვა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. მამის ჩანაფიქრი შვილმა ითავა და ქართლ-კახეთი გაერთიანდა: გადაიდგა ნაბიჯი საქართველოს აღორძინების გზაზე, მაგრამ... აწრიალდა ქართველ მმართველთა ნაშიერი, აფორიაქდა გამაერთიანებელ ძალას გადაჩვეული თავადიშვილობა, ეცნენ ხონთქარსა და შახის პალატებს, ცოფი ეცათ მთიდან მოზღვავებულ მტაცებლებს. უნაგირზე, უზანგში ფეხგაყრილი ცხოვრობდა კახი, ხმალი ქარქაშში ვერ ჩაეგო, აშლილ მოძალადეებს მუსრს ავლებდა. მაგრამ ქართველნიც წყდებოდნენ აღორძინებისათვის გამართულ ამ უთანასწორო ბრძოლაში. ისტორიამ შემოგვინახა უტყუარი და შემაძრწუნებელი ციფრები — თუ 1770 წელს ქართლსა და კახეთში 65 ათასი კომლი კიდევ დაითვლებოდა, 1795 წლის აღწერით აღმოსავლეთ საქართველოს კომლთა რაოდენობა 35 ათასამდე დავიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერის პოტენციური ნაწილი შემაძრწუნებლად მცირდებოდა, თვით არსებობა კი ქართველი ხალხისა, რომელიც ამ კომლხედავდა ან არ უნდოდა დაენახა, თორემ ცარიზმს, მის ექსპანსიონიზმსა და მზაკვრობას თვით რუსეთი, დიდი რუსეთი, პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, გერცენის, დობროლიუბოვის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, გოგოლის რუსეთი, დიდი ლენინის რუსეთი ებრძოდა — იბრძოდა მტკიცედ, შეუპოვრად რომანოვების მზაკვრული ტახტის წინააღმდეგ. მაგრამ უსინათლო და უგონო უნდა იყოს კაცი, რომელმაც არ აღიაროს, რომ რუსეთთან საქართველოს გაერთიანებით აღმავლობის გზას დაადგა ქართველი ერი, რომ აღა-მაჰმად-ხანმა და მისი სახით ქართველი ერის ისტორიულმა მტრებმა უკანასკნელად ითარეშეს ჩვენს მიწა-წყალზე, რომ საქართველოს ტერიტორია მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მისი ზოგ-ზოგი მეზობლის სათარეშოდ აღარასოდეს აღარ ქცეულა და აღარც იქცევა არასოდეს! სამარადჟამოდ მოისპო ერის ფიზიკური მოსპობის საშიშროება!

დიახ, „ტრაქტატის“ დადებით დაიწყო ქართველი ერის კონსოლიდაცია, აღმასვლა და ერთი საიმპერიო კარის მიერ მეორე სამეფო ინტერესების შეზღუდვა-შელახვას ხელი არ შეუშლია ორი ერის დაძმობილების დაწყებისათვის, რასაც სწორედ ეს „ტრაქტატი“ დაედო საფუძვლად და რასაც საქართველოს, ქართველი ერის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული მომძლავრება და აღმავლობა მოჰყვა.

საქართველოს რუსეთთან გაერთიანება დასაბამად იქცა ჩვენში სისტემატური განათლებისა და კულტურის აღორძინებისა. რუსულმა კულტურამ, რუსულმა ენამ გზა გაუხსნა ქართველი ხალხის ნიჭსა და ტალანტს, შესაძლებლობა მისცა გასულიყო მსოფლიო კულტურის სარბიელზე. ცარიზმმა და მისმა ბიუროკრატიულმა აპარატმა ვერ შესძლეს ხელი შეეშალათ ჩვენში რუსული კულტურისა და სიკეთის გავრცელებისათვის, რის შედეგადაც ცარიზმის მიერ ქართველი ერის „გარუსების“ მიზნები საქართველოში რუსული კულტურისა და პროგრესის გავრცელების საშუალებად აქციეს რუსეთისა და საქართველოს იმდროინდელმა სულიერმა მედროშეებმა. ი რას წერდა ქართველი პედაგოგიკის მამამთავარი იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც რუსეთი სამშობლოდ დაითქვა:

„რუსული ენის ცოდნა დიდი სიკეთეა ყველა კავკასიელისათვის, ვინაიდან აძლევს მათ შესაძლებლობას გახდნენ დიადის სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ეზიარნენ მდიდარ რუსულ ლიტერატურას და როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდნენ თავს უზარმაზარ სამშობლოში“.

რუსეთიდან საქართველოში შემოვიდა მე-19 საუკუნის ცივილიზაცია, აღორძინდა ქართული თეატრი, დაარსდა პრესა, მომძლავრდა განათლება, წიგნი, რუსული კულტურის ნოყიერ ნიადაგზე აღგეზარდა გასული საუკუნის ქართული აზრის წარმმართველი ბრწყინვალე თაობა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა მეთაურობით.

რუსეთისავე მეცნიერულ-კულტურული კერების სიღრმეში იშვა ქართული მეცნიერების ფუძემდებელთა პლეადა იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილის, ანდრია რაზმაძის, პეტრე მელიქიშვილისა და სხვათა წინამძღოლობით, რომელთაც მოამზადეს ქართული მეცნიერების უპირველესი კერის თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, დღევანდელი სახელოვანი ქართული მეცნიერებათა კერების სახუროთმოძღვროს დაფუძნება.

რომანოვების ნებასურვილის წინააღმდეგ საქართველო მთელ ამიერკავკასიასთან ერთად, ვითარდებოდა ეკონომიურად, შენდებოდა რკინიგზების განშტოებული ქსელი, ვითარდებოდა სამთამადნო მრეწველობა, ხდებოდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, შიმოდიოდა ტექნიკური პროგრესი, დაარსდა და ვითარდებოდა ფოსტა-ტელეგრაფი. ყოველივე ამას მოჰყვა ქართული მუშათა კლასის დაბადება, ფეოდალურ ურთიერთობათა დაშლა-დაკნინება...

დიახ, ისტორიული გარდუვალობის შედეგად რუსეთის მოწინავე ინტელიგენციისა და რევოლუციონერების გავლენით იშვა და მომძლავრდა რევოლუციური აზრი, ამ აზრის გასანვითარებლად და სარეალიზაციოდ აღიზარდნენ რევოლუციონერთა ბრწყინვალე თაობები, რომელთაც უზრუნველყვეს ჩვენში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა გაგრცელება, განვითარება და მათი გამარჯვებაც, რაც პირდაპირი ნაყოფი იყო კლასობრივ-სოციალური ბრძოლისა.

აი როგორ შეფასებას აძლევს რუსეთთან საქართველოს შეერთებას მე-19 საუკუნის ქართველი ერის უპირველესი შვილი ილია ჭავჭავაძე:

„რა საჭიროა დამალვა, ჩვენ უცილოდ გვიყვარს ჩვენი საკმოლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე: ვერ-ტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიც. ეს ისეთი ბუნებრივია, ისეთი ცხადია, ისეთი ადვილად გასაგებია საგანთა არსებობის მიხედვით. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოველ წამებისა და ტანჯვის გამეორებისაგან, მან გაუკურნა ჩვენ სამშობლოს მისი წყლულნი“.

პირველი ერისკაცის მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების აქტისა და ამ აქტიდან გამომდინარე შედეგების მაღალი შეფასების ფონზე, ისტორიის კანონზომიერად განვითარების ამ უტყუარი პროგრესის პირობებში ჭეშმარიტად ცინიკურად გაისმა ზოგის სიტყვები, რაც განსაკუთრებული „ჟღერადობით“ ახმიანდა საქართველოში მენშევიკების სამწლიანი უფროსობის წლებში და რასაც საფუძვლად ედო „ტრაქტატის“ არა არსებითი, საფუძვლიანი შეფასება, არამედ ნაციონალისტური ემოციებით „ტრაქტატის“ ასოებში ჩაკირკიტება, რასაც ზოგ-ზოგი თანამემამულე დღესაც ებღაუჭება თავისი გაუგებრობით, სიბეცით ან სულაც მტრობით გაღვივებული იმ სიძულვილით, რაიც უპირველესად მიმართულია ქართველი ხალხის, საქართველოს წინააღმდეგ. სხვა რიგად არ შეიძლება ავხსნათ ცდა გაამართლონ „ტრაქტატის“ მენშევიკებისეული შეფასება, რითაც ქართველი ხალხის ისტორიულად დამრბევი და ამწიოკებელი ზოგიერთი მეზობელი ლამის ჩვენი ერის კეთილმოსურნედაც კი იყო გამოყვანილი.

ვინ მისცა უფლება „თავისუფლების“ ირგვლივ მოტორღიალე ზოგ-ზოგ ვიგინდარას უგუნურად შეეხოს ქართველი ხალხის მძიმე ისტორიას, დიდებულ აწმყოს და ბრწყინვალე მომავალს?! ვის შეუძლია ნორმალური ადამიანი უწოდოს თავის თავს და ვერ დაინახოს ან არ დაინახოს ის დიდი ეროვნული სიკეთე, რასაც დასაბამი დაედო საქართველოს რუსეთთან შეერთებით, რაც ახლებურად გამოიკვეთა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად?

ისტორიული გარდუვალობით გაპირობებულმა ოქტომბრის რევოლუციამ თავისუფლება მიანიჭა რომანოვთა იმპერიაში თავმოყრილ ხალხებს — რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, ქართველებს... ეს იყო დიდი სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული რევოლუცია, საიდანაც დაიწყო ძმურ ოჯახში გაერთიანებულ საბჭოთა ხალხების მანამდე წარმოუდგენელი პროგრესი, ეს იყო რომანოვთა იმპერიაში ისტორიულად გაერთიანებული ხალხების ეროვნული, სოციალური და კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ აღმართული ხალხების დაახლოების, დაძმობილებისა და აღმავლობის პირდაპირი და გარდუვალი შედეგი, რამაც ჩვენს სინამდვილეში ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით აღმოაცენა, მოამზადა და ისტორიულ გარდუვალობად აქცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ხალხთა თანასწორუფლებიანი გაერთიანება საბჭოეთის ძმურ ოჯახში.

1921 წელს, როცა ქართველი ერის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა, როცა ქართველი ხალხი ნებაყოფლობით გაერთიანდა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში და კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას, ქართველი ხალხის მიერ ხელნაკრავი ვაიპოლიტიკოსები საზღვარგარეთ წვრილ-წვრილ ოინებს სჩადიოდნენ ქართველი ხალხის, საქართველოს წინააღმდეგ. ისინი ვერ ხედავდნენ, არ ხედავდნენ და ზოგ-ზოგ მათ მემკვიდრეს დღესაც არ სურს დაინახოს ის ვეებერთელა წარმატებები და ბედნიერება, რასაც ქართველი ხალხი აწმყოს უწოდებს, ნათელ, ბედნიერ აწმყოს.

დიახ, აშენდა, ამაღორდა, განვითარდა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში გაერთიანებული და თანასწორუფლებიანი საქართველო!

ჩვენმა მეცნიერებამ, ლიტერატურამ, კულტურამ, ხელოვნებამ, მრეწველო-

(დასასრული მე-6 გვერდზე)

მღერის მშობელი ოჯახი...



სიმღერა ოდითგანვე იყო ჭართველი კაცის განუყრელი მეგობარი ჭირსა თუ ლხინში. თაობებს გამოატარეს ჩვენმა წინაპრებმა შესანიშნავი ქართული ხალხური სიმღერები, რომელთა მელოდიები დღესაც ხიბლავს მსმენელებს თავისი ურთულესი წყობით, მრავალხმიანობით, სილაღით...

ანსამბლი, რომლის შესახებაც გიამბობთ, არა ჰგავს ჩვეულებრივ ვოკალურ კოლექტივს. მისი ხუთივე წევრი ჩიქოვანია. ყველაზე პატარა სოლისტი ეკა რვა წლისაა. გოგონას მამა — ზურაბ ჩიქოვანი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკია, დედა ითო — ექიმი-კარდიოლოგი. ანსამბლი თუმცა ჯერ ძალზე ახალგაზრდაა, მის ორ წევრს — 14 წლის მარიკასა და 13 წლის გიგლას მკერდს უმშვენებთ ოქროს მედლები...

მომღერალ ჩიქოვანთა ოჯახს საქართველოშიც იცნობენ და მის ფარგლებს გარეთაც. მარიკამ და გიგლამ ჯერ კიდევ პაწაწინებმა მიიქციეს მაძის ყურადღება, რომელიც ამავე დროს თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულია და პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა ქალაქის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში. როგორც კი მამას როიალთან დაინახავდნენ პატარები, ახლოს მიუსხდებოდნენ და სულგანაბული უსმენდნენ. უსმენდნენ საათობით, შემდეგ კი ბავშვური უშუალობით იმეორებდნენ მოსმენილ მელოდიებს. ბავშვებს განსაკუთრებით იტაცებდათ ქართული ხალხური სიმღერები. სწორედ ამ სიმღერებით დაიწყო მათი პირველი გამოსვლა დიდ სცენაზე. დღეს მარიკა და გიგლა — თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები — დიდი გემოვნებით ასრულებენ ნაკლებად ცნობილ, მივიწყებულ ძველ ქართულ ხალხურ სიმღერებს: აჭარულ „წინამძღვრის ვარდოს“, „ეს რა ჩიტი მოფრენილა“, ძველ ქართულ „რიხს“, „იმერულ მგზავრულს“, გურულ, მეგრულ სიმღერებს... ბავშვთა რესპუბლიკურ მე-6 ოლიმპიადაზე და-ძმა ოლიმპიადის ოქროს მედლებით დაჯილდოვდა, ხოლო მე-7 ოლიმპიადაზე მათ კვლავ მედლები დაიმსახურეს. მარიკას ჯილდოებს შეემატა კიდევ ერთი ოქროს მედალი, რომელიც მან მიიღო შალვა თაქთაქიშვილის ოპერეტა „ყვავილების რევოლუციაში“ როლის საუკეთესო განსახიერებისათვის.

მარიკა და გიგლა ჩიქოვანების სიმღერები ღირსეულად შეაფასეს მოსკოველმა მსმენელებმაც: ნორჩ მომღერლებს ტაშს უკრავდნენ ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში, სერაფიმოვიჩის სახელობის კულტურის სასახლეში, ქარხანა „ვოსხოდში“...

უფროსი და-ძმის გზას გაჰყვა ეკაც. ერთხელ, როცა მარიკა და გიგლა პიონერთა სასახლის სცენაზე მღეროდნენ, პატარა ეკა კულისებში იჯდა. და-ძმას დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან. უცებ სცენაზე ეკა გაჩნდა. მან მამას, შვილების მუდმივ აკომპანიატორს, თხოვა დაეკრა მანანას სიმღერა კინოფილმიდან „მანანა“. კომპოზიტორ მერი დავითაშვილის ეს შესანიშნავი სიმღერა ეკამ დიდი ოსტატობით შეასრულა და მსმენელთა ტაში დაიმსახურა.

მღერის ზურაბ ჩიქოვანის მთელი ოჯახი. იგი ხშირი სტუმარია საქართველოს ტელევიზიისა, მონაწილეობს ბევრ კონცერტში... ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა ფირზე აღბეჭდეს ჩიქოვანთა ოჯახის ხელოვნება.

ცოტა ხნის წინათ ჩიქოვანთა ოჯახის ვოკალური ანსამბლი წარსდგა მოსკოველი მსმენელების წინაშე. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა ეს არაჩვეულებრივი ანსამბლიც. კონცერტის რეგლამენტი მეტად შეზღუდული იყო. მსმენელები აქ უნდა შეხვედროდნენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის თვითმოქმედ კოლექტივებს. მაგრამ დიდი იყო აღტაცება და დარბაზმა სცენიდან არ გაუშვა ქართველი მომღერლები. გიგლამ ხელში გიტარა აიღო და დაირხა შესანიშნავი ქართული სიმღერის გულში ჩამწვდომი მელოდია... ყველა გაირინდა... შემდეგ ისევ იქუხა ტაშმა... საკავშირო ტელევიზიამ გადასცა ჩიქოვანთა ოჯახის ვოკალური ანსამბლის კონცერტი, გადაიცა იგი ავრეთვე პროგრამა „ორბიტითაც“.

გაფართოვდა და ახალი სიმღერებით შეივსო ანსამბლის რეპერტუარი. იგი ასრულებს ქართულ, რუსულ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და სხვა ხალხთა ხალხურ მელოდიებს. დიდი სიამოვნებით მღერიან ზურაბ ჩიქოვანის შვილები მამის სიმღერებს, რომლებიც მან სპეციალურად ამ ანსამბლისათვის დაწერა.

მარიკა, გიგლა და ეკა ჩიქოვანები — მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული პატარები — ეუფლებიან ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრის რთულ ხელოვნებას, უყვართ თანატოლებთან თამაში, აინტერესებთ სამყაროს საოცრებანი, მაგრამ ყველაზე მეტად უყვართ სიმღერა, მათი ცხოვრების კეთილი თანამგზავრი.

მერი გაბრიაძე

კომპოზიტორი



ეჭვსი წლისაა...

ღამის ფერადი ნათურა მკრთალად ანათებს ოთახს. საწოლში პატარას სძინავს — ხან შფოთავს, ხანაც სახეზე ნეტარი ღიმილი დასთამაშებს. ეტყობა, ბავშვი სიზმრების სამყაროში დაცურავს.

ოთახში ფრთხილად შედის დედა, სიყვარულით უსწორებს პირშოს გადახდილ საბანს, იქვე ჩამოუჯდება. ერთხანს დაფიქრებული დასცქერის, შემდეგ მზერა ბავშვის მაგიდაზე გადაატყვს. მაგიდაზე კალენდარია, გადაშლილი 1973 წლის 16 თებერვლის გვერდზე.

დედას ეღიმება... თექვსმეტი თებერვალი...

რამდენის მთქმელია ეს რიცხვი. 16-ში პატარა ექვსი წლისა გახდება. მართალია, დღეს ათია, მაგრამ ეტყობა გულმა აღარ მოუთმინა პატარას, რა ქნას, ეჩქარება ბავშვს.

რა ცოტაა და რა ბევრია ეს ექვსი წელიწადი.

დედის თვალწინ კინოკადრებივით გაირბინა ბავშვის ცხოვრებამ.

პატარა იმთავითვე დიდ მიდრეკილებას იჩენდა მუსიკისადმი. აკვანში მწოლარეს საათობით შეეძლო ესმინა მელოდიისათვის.

შემდეგ პირველი სიტყვა „დედა“... პირველი ფეხის ადგმა... პირველი დაცემა... პირველი აღიღინება.

წლინახევრის ბავშვი ჯერ კიდევ გარკვევით ვერ ძერწავდა სიტყვებს, მაგრამ სიმღერა შეეძლო და... გაჩნდა ოჯახში პატარას სიმღერის პირველი ჩანაწერები. სამი წლისა უკვე ორხმაში მღეროდა დედასთან ერთად.

შემდეგ 27-ე ბაგა-ბაღი. ბაგა-ბაღის გამგის ელენე ბოლღაშვილისა და მთელი კოლექტივის დირიჟორი. პირველად რეჟისორ ჯემალ წერეთლის მოკლემეტრაჟიან ფილმში „პირველი ყვირილი“, მეორედ — რეჟისორების ნენოვასა და წულაიას სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმში „მოვდივართ და მოვიმღერით“.

რითმულ საკრავთა ორკესტრი...

ბიჭის აქტიური მონაწილეობა ორკესტრში, როგორც დირიჟორის, მომღერლის, დოლზე და ქსილაფონზე დამკვრელის...

დედას დღესაც კარგად ახსოვს პირველი სიმღერის შექმნის ისტორია. ერთ დღეს ბიჭი მაგიდის ქვეშ იჯდა და თავისთვის თამაშობდა. შემდეგ გამოძვრა, ბებიას ხელი ჩაჰკიდა და მეორე ოთახში გაიყვანა. მალე სახეგაცისკროვნებული ბებია და შვილიშვილი ოთახში შემობრუნდნენ. ბიჭი გაბედულად მივიდა დედასთან.

— დედიკო, მუსიკა დავწერე, მომისმინე და ჩამიწერე. ბებიამ დაადასტურა შვილიშვილის სიტყვები. ეტყობა, ბებია იყო პირველი მსმენელი და მას შემდეგაც პირველად ყოველთვის ბებიას ასმენინებს თავის ახალ ნამუშევარს.

დედას ამ სიმღერასთან დაკავშირებით ერთი დეტალიც გაახსენდა. მელოდია რომ მოისმინა, დედას უნდოდა ერთი ადგილი შეესწორებინა, მაგრამ ბიჭმა კატეგორიული უარი განაცხადა — ან ისე ვიმღერებ, როგორც მე დავწერე, ან სულ არ ვიმღერებ.

დაიბადა კობას პირველი სიმღერა, რომელსაც მალე მეორე მოჰყვა, თავის პატარა მეგობარ ირაკლისადმი მიძღვნილი.

ბავშვი ლოგინში შეინძრა. გაწყდა ფიქრთა ძაფი... დედამ ფრთხილად დახედა მძინარეს.

შარშანდელი სექტემბერი...

სამსახურიდან დაბრუნებულ დედას ბიჭმა გაუცხადა, წითელჭუდაზე უნდა დავწერო საბავშვო ოპერა, რომელსაც ჩვენს ბაგა-ბაღში დავდგამთო.

მართალია, ბიჭი უფრო მეტ დროს თავის სათამაშოებს ანდომებდა, მაგრამ მაინც ხორცს ისხამდა ოპერის ჭარგა. პატარა კვლავ ჯიუტად განაგრძობდა მაგიდის ქვეშ მუშაობას. ბებიის შეკითხვაზე, თუ რატომ ქმნიდა მაგიდის ქვეშ ახალ მელოდიას, ბავშვმა მიუგო — ბაგა-ბაღში ელიკო გამგეს თავისი კაბინეტი აქვს, დედიკოსაც აქვს თავის სამუშაო კაბინეტი, ჰო და ჩემი კაბინეტიც ეს არისო.

და ოპერაც დასრულდა. ბავშვის მაგიდაზე, კალენდრის გვერდით დევს.

ოპერასთან დაკავშირებით კიდევ ერთი დეტალი გაახსენდა დედას.

ბაღის აღმზრდელები სიხარულით შეუდგნენ ოპერის დადგმისათვის მზადებას, წითელქუდას როლისათვის გოგონას შერჩევა დაიწყეს. გასინჯეს ერთი გოგონა, მოიწონეს, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ოპერის ავტორმა განაცხადა, რომ მას სულ სხვანაირი წითელქუდა ჰყავს წარმოდგენილი.

— რას ვიზამთ, — განაცხადა ელიკო გამგემ, — ავტორის უფლებაა. — შემდეგ ბიჭს შეეკითხა: — აბა, ვინ ვამღეროთ? — ლელა ბერიძე, — მიუგო პატარამ. გასინჯეს გოგონა და მშვენივრად იმღერა.


ბიჭი კვლავ შეიშმუშნა: გაწყდა მოგონებათა კინოლენტი. სიყვარულით დახედა ძილში მბორგავ იმედს დედამ, რომელმაც იცის, რატომ ბორგავს თავის სისხლი და ხორცი. თავისსავე დაწერილ ოპერაში მგლის როლის შესრულებაზე ოცნებობს პატარა და სიზმარშიც კი წითელჭუდას ცხოვრებით ცხოვრობს...

ღამის ფერადი ნათურა კი მკრთალად ანათებს ოთახს.

გივი აბაშიძე


35 წლის თბილელებს











ჩემი ქალაქის გვირგვინი...

ქა ადრე ქვა და ღორღი იყო. ოჭროყანა, შინდისი, წავკისი, ტაბახმელა და კოჯორი ეკვროდა ჯარს, თვითონ კი დედაქალაქს გადმოსცქეროდა 750 მეტრის სიმაღლიდან. მთაწმინდის კაცის სამსახურში ჩაყენება ამ სამოცდაათი წლის წინად განიზრახეს. „ფუნიკულიორი“ ააშენეს — ბაგირჩაბმული ტრამვაი ტაატით აჰყვა ციცაბო კლდეზე საგულდაგულოდ დაგებულ ლიანდაგს...

იქ, მაღლა, რამდენიმე დუქანი გახსნეს მედუქნეებმა და კოჯრის ნავს ადევნებული ზურნა-დუდუკის ხმა მოედო თბილისს... ეს იყო და ეს — მეტის გაკეთება არავინ ისურვა. არც უნდოდათ. არც შეეძლოთ.

ფუნიკულიორი მშრომელთა დასასვენებელ ადგილად უნდა ქცეულიყო — დაადგინა რევოლუციამ და თბილისელები შეეჭდნენ ქვასა და ღორღს. მანქანები ცოტა იყო და მიწა ურმებითა და ხახედრებით აზიდეს. დარგეს ბუჩქი და ბალახი, ხე და ყვავილი... გადიოდა წლები. კაცის ნაამაგარმა იბარა, ფრთები გაშალა და ფუნიკულიორი, რომლის საზეიმო გახსნა ამ ოცდახუთმეტი წლის წინათ ვიზეიმეთ, ჩვენი ქალაქის გვირგვინად იქცა.

მშრომელთა უპირველესი დასასვენებელი ადგილი და სტუმართა საგულდაგულო სამასპინძლო, ტალინის სახელობის მთაწმინდის პარკი დღეს 135 ჰექტარზე გაშლილა. ნაძვი და ფიჭვი, ცაცხვი და მუხა, ჭადარი და თელა, იფნა და რცხილა, კვიპაროსი და კედარი მაცოცხლებელ ჩრდილად ადგას მთაწმინდას ზაფხულის თაკარა მზეში, ზამთარში კი თოვლით არის დახუნძლული. ჩვენებური ყვავილების სიმრავლე ზღვას თუ შეედრება — ათასზე მეტი ჯიში ერთად გაშლილა... მებაღე-დეკორატორები დღე და ღამ იმის ცდაში არიან, მათი სილამაზით კიდევ უფრო აამონ კაცის თვალი. ირემსა და ფარშევანგს, ხოხობსა და კაკაბსაც დაუდიათ აქ ბინა.

„სამოთხის ბაღი“... „მართლაც რომ მომხიბვლელია“... „აქ დასვენება სიცოცხლეს მატებს ადამიანს“... „ვნახე თქვენი ფუნიკულიორი, იქიდან გადავხედე ღამის თბილისსა და ვიგრძენი, რა არის სილამაზე“... მრავლად ჩაუწერიათ შთაბეჭდილების წიგნში საფრანგეთიდან თუ ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან თუ ამერიკიდან, იაპონიიდან თუ რუმინეთიდან ჩამოსულ მრავლისმნახველ სტუმრებს.

მთაწმინდაზე ყოველდღიურად 7-8 ათასი დამსვენებელი ადის. ზეიმის დღეებში, როცა აქ სახალხო სეირნობა იმართება, ადამიანთა სიმრავლე ათჯერ მეტია. ერთნი რომ ტრამვაით ამოდიან, მეორენი საბაგირო გზით მიეშურებიან ფუნიკულიორისკენ. ფართო, მიხვეულ-მოხვეულ გზატკეცილზე კი მსუბუქი ავტომანქანების ნაკადს ბოლო არ უჩანს. დილიდან გვიან საღამომდე მუშაობს აქ 4 ათეულზე მეტი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ატრაქციონი, დამსვენებელთა განკარგულებაშია სპორტული მოედანი და ბიბლიოთეკა, კინოდარბაზი და ესტრადა, საბილიარდე და პლანეტარიუმი, რესტორანი და ახალგაზრდული ბარი...

ეს დღეს არის. ხვალ კი უფრო ლამაზი და მომხიბვლელი იქნება მთაწმინდის პარკი. 750 ჰექტარზე გაიშლება და დამშვენდება. აშენდება საცურავი აუზი, რამდენიმე სპორტული მოედანი, მწვანე თეატრი, ბავშვთა დასვენების ოთახები, კემპინგები, შიდა საბაგირო გზა... პარკი დედაქალაქს კიდევ ერთი საბაგირო გზით დაუკავშირდება, საბაგირო გზა კუს ტბასაც გადაწვდება, რომელიც თავის მხრივ წუნეთთან იქნება დაკავშირებული. დასასრულს უახლოვდება ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მშენებლობა...

ზამთარშიაც ხალხმრავლობა იქნება აქ. აიგება ტრამპლინი, გაიყვანენ საციგაო და სათხილამურო ტრასებს...

ფუნიკულიორის პანორამას ამ რამდენიმე წლის წინათ სატელევიზიო ანძა შეემატა. დღეს ძველს, რომლის სიმაღლე 198 მეტრია, ახალი 287 მეტრიანი ანძა ამოუდგა გვერდში. სულ მალე მხოლოდ მას დაეკვალება ცისფერი ეკრანებისათვის გადაცემათა გაძღოლა...

შესცქერი მთაწმინდას და გინდა გაიმეორო კარგად ნათქვამი:

„ცისფერო მთაო-მთაწმინდა,
ჩემი ქალაქის გვირგვინო,
მინდა ეგ შენი კალთები
ფეხდაფეხ ამოვირბინო...“

რევაზ მამალაძე

ერთი თანამემამულის „რჩევის“ გამო

(დასასრული).

ბამ, ტრანსპორტის საშუალებებმა მსოფლიო აღიარებები ჰპოვეს, ქართველი კაცის ნახელავი დღეს საქვეყნო პატივისცემას ჰპოვებს თვით იმათ მიერ, ვინც მტრულად იყო და არის განწყობილი დიდი საბჭოთა სამშობლოს მიმართ. ქართველმა ხალხმა, სხვა საბჭოთა ხალხებთან ერთად, მიაღწია იმას, რაც ჩვენ სახელოვან წინაპართათვის საოცნებო იყო მხოლოდ.

დიდი ლენინი კომუნიზმის გამარჯვებას ელექტროფიკაციის აღმავლობას უკავშირებდა. ენგურჰესის აშენებაზე ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი ნიკო ნიკოლაძე ოცნებობდა. მსოფლიოში უნიკალური ენგურჰესის ასაშენებლად, რომლის სიმძლავრე ორმოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში აშენებული ჰიდროელექტროსადგურების საერთო სიმძლავრის ნახევარზე მეტია, საბჭოთა კავშირის მთავრობამ საკავშირო ბიუჯეტიდან დამატებით გაიღო 731.000.000 მანეთი. ეს სადგური წლიურად გამოიმუშავებს 5.460.000.000 კვტ. საათ ელექტროენერგიას, რაც ძირითადად მოხმარდება საქართველოს სახალხო მეურნეობას.

საქართველოში 1921 წელს ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 4 კვტ საათი ელექტროენერგია წელიწადში. იმავე ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც ჩვენში დღეს ორჯერ მეტია 1921 წელთან შედარებით, 1970 წელს მოდიოდა 1.904 კვტ საათი ელექტროენერგია, მაშინ, როცა ირანში ერთ სულ მოსახლეზე იმავე 1970 წელს მოდიოდა 236, თურქეთში — 245 კვტ საათი. ელექტროენერგიის გამომუშავებაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ გაუსწრო არა მარტო უშუალო მეზობლებს, რომლებიც ქართველი ერის რუსეთთან შეერთებამდე ჩვენი ყოფნა-არყოფნის ბედს ეპოტინებოდნენ, არამედ დავწინაურდით ევროპის ზოგიერთ ქვეყნებთან შედარებითაც — იმავე 1970 წელს საბერძნეთი გამოიმუშავებდა 1.057 კვტ საათს, ესპანეთი — 1671, პორტუგალია — 749, იუგოსლავია — 1.277 კვტ საათს.

დაე, იცოდეს ზოგ-ზოგმა ჩვენმა თანამემამულემ, რომელიც „თავისუფლებას“ უტორღიალებს თავისი წარსულით, აწმყოთი და, როგორც ეტყობა, მომავლითაც, რომ ქართველი ხალხი არასოდეს ისე ბედნიერი და უზრუნველყოფილი არ ყოფილა, როგორც დღეს არის, როცა საბჭოთა ძმურ ოჯახში გაერთიანებული დიდი შრომითი შემართებით ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ, პარტიის XXIV ყრილობის მიზანდასახულობებს წინსვლისა და პროგრესის იმ დიად პროსპექტზე, რასაც მივყავართ ადამიანის ბედნიერებისაკენ, მთელს ქვეყანაში მშვიდობის ზეიმისაკენ, იმისაკენ, რომ ქვეყნად აღარ იყოს ფაშიზმი, კაცთმოძულება, სამშობლოს მოწყვეტილი და უგზო-უკვლოდ დაბნეული ადამიანები, რათა არ იყოს ომი, ობლები, ქვრივები, ძაძები, სიკვდილი!

დღეს, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ყველაფერი კეთდება მშვიდობის განსამტკიცებლად, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ვიზიტის შემდეგ შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში მსოფლიოში ატომური იარაღით გამოწვეული დაძაბულობის განმუხტვის დიადი პროცესი მიმდინარეობს, როცა ცივი ომის ატმოსფეროს ხალხთა მეგობრობის მოწმენდილი, უღრუბლო ცა სცვლის, როცა კაცობრიობა აღიარებს საბჭოთა კავშირის ბრძნულ სამშვიდობო პოლიტიკას, რასაც დიდი ლენინის ანდერძი უდევს საფუძვლად, როცა საბჭოთა ძმურ ხალხებთან ერთად ქართველ ერსაც შეაქვს თავისი წვლილი ქვეყნად ადამიანის კეთილად, ბედნიერად ცხოვრების საქმეში — არავის, არცერთ თანამემამულეს, სადაც უნდა იყოს ის, ნება არა აქვს აჰყვეს ზოგ-ზოგს სამშობლოსთან ავყიურ დამოკიდებულებაში, ავსიტყვაობაში, რამეთუ ავად ნამოქმედარი თვითონ მოსრავს ავკაცებს.

დიდი ხანია დადგა დრო, თანამემამულენო, რომ ყველა თქვენგანმა პასუხი გასცეს იმათ, ვინც ქართველი ერის დღევანდელ ბედნიერებას არ ხედავს და მისი მტრების წისქვილზე უგდებს იმ საცოდავ ნაწუწს, რომელშიაც უპირველესად თვითონვე დაიხრჩობიან და ცხოვრებისეულ ვეება დინებაში არარად გაიშლებიან.

გივი კარბელაშვილი

1973 წლის 16 ივლისი



ქართველთაგან ვერც გაარჩევს ადამიანი დანიელ ხახიაშვილს, ქართველ ებრაელ პოეტს, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და დავაკაცდა საქართველოში, ონში, ქართულ მიწაზე აიდგა ფეხი როგორც პოეტმა და მოჭალაქემ, ქართულმა ზღაპარმა, ლექსმა თუ მოთხრობამ შეაყვარა ჩვენი სამშობლო და სწორედ იმ სიყვარულმა კალამი ააღებინა ხელთ.

„საქართველოს ბუნება, მისი შრომისმოყვარე ადამიანები, ქართველთა გმირული წარსული, მისი დღევანდელობა და მომავალი, მშვიდობიანი შრომა, მეგობრობა და სიყვარული არის და იქნება ჩემი ლექსების, ჩემი მუზის დაუშრეტელი სათავე“.

„სამშობლო“ წარმატებას უსურვებს ჩვენს ონელ პოეტს, კაცურკაცს, საბჭოთა საქართველოს მოქალაქესა და შემოქმედს, რომელიც ისეთივე ძვირფასია ჩვენთვის, როგორც ყველა სახელოვანი მამულიშვილი, ჩვენი ქმური ოჯახის წევრი, ვისი წინაპრებიც ქართულ მიწაში განისვენებენ, ვისი მონაგარიც დედა-სამშობლოს უწოდებს ჩვენს მამულს, ჩვენს ნეტარ საქართველოს.

ჩემი საბჭოთა საქართველო

ჩემი სამშობლო საქართველოა,
საქართველოა ჩემი დიდება,
ბედნიერებად ისიც მეყოფა,
მზე დილით თავზე რომ მაბრწყინდება.
უშბის, თეთნულდის მომდგამს სიმაღლე,
შმაგ მდინარეთა სული მიდგია;
მე ვენაცვალე ქართულ ლაჟვარდებს —
უსამშობლოოდ რა შემიძლია!
რა შემიძლია უსიყვარულოდ,
უსაქართველოდ ხე ვარ დამზრალი,
სულ სიყვარული გქვია, მამულო,
სულ სიცოცხლე ხარ — ტრფობის ტაძარი.
გულს მიცხოველებს სვეტიცხოველი,
მეამაყება შენი მთაწმინდა,
— ღმერთო, მიცოცხლე დედა-მშობელი,
სხვა სალოცავი არც მწამს, არც მინდა!
ზურმუხტ-ლალები, თვალნი — ალმასის
მზეს შენს კალთებზე დაუფანტია,
სად არის მხარე შენებრ ლამაზი,
სხვა სილამაზე არც მინატრია.
ცას მიბჯენილან ციხე-კოშკები,
ცეცხლს რომ არიგებს, ამირანია,
დღეს ალისფერი შენი დროშები
გმირებს კოსმოსში აუტანიათ.
ნარიყალაზე დგას ქართვლის დედა —
ავსილი თასით, მჭრელი მახვილით,
ნიავს გადააქვს წარსულის სევდა,
კვლავ არწივების ისმის ძახილი.
უფრო ხმაურობს, უფრო იზრდება
რიონის ტალღა, მტკვარი, არაგვი,
საქართველოა ჩემი დიდება,
ჩემი ლექსების სიტყვის მარაგი.
სიცოცხლე მხოლოდ მამულს ენდობა,
მე მის ტრფიალში დამეწვას მზერა —
ჩემი სამშობლო საქართველოა,
საქართველოა ჩემი სიმღერა!

გაზაფხული შოვში

ზღვასავით ღელავს ლურჯი
ლაჟვარდი,
მზე სხივოსანი ოქროს ვერძია,
მარადისობის უსასრულობას
„ლურჯა ცხენებიც“ ვერ დაეწია.
ბორგავს ჰანჭახი — ლექსი
უთქმელი,
ტყეს შემოეხა ნისლის მაზარა,
ბუბაზე გაჩნდა წვიმის ღრუბელი,
მთები ქუხილმა შეაზანზარა.
ფერი ათასი, ხმები ათასი,
ნაზი და წყნარი, მკაცრი და ბოხი,
— ნეტავ სიცოცხლის
დასასრულამდი
აქ ვწერდე ლექსებს, აქ მედგას
ქოხი.
და თითქოს სათქმელს მიუხვდა
შოვი,
ფიჭვების ტყეში გაჩნდა მაგიდა,
მუზების მეფემ გამართა ომი,
და ნიკორწმინდა მხრებით აზიდა.
თიბა და თიბა ლექსის ბალახი,
მთებს და ლაჟვარდებს შეადნო
მზერა,
ბუბას მოსტაცა მზის ჩაბალახი
და მთებს აჩუქა დიდი სიმღერა.

1973 წ. 14 ივნისი

* * *

დიდებულია ივლისში ბუბა,
ჯიხვებს მუხლამდის სწვდება ბალახი,
ხან ოქროსფერი გვირგვინი ხურავს,
ხან ნისლი აქმას ვით ჩაბალახი.
თოვლის ნაჭური რეცხავს ნაპრალებს,
მზე იცრემლება მყინვართ სარკეში,
ამაყი მზერა იპყრობს ლაჟვარდებს,
და სისპეტაკე მღერის თვალებში.
სადღაც არწივი წვრთნის თავის მართვებს,
რქმებს ილესავენ კლდეზე ჯიხვები,
ისევ ძალ ვყევარ მთის სილამაზეს
და ბილიკ-ბილიკ მწვერვალს მივყვები.

ვარდების მეფეს საფლავში სძინავს

(ვუძღვნი მიხეილ მამულაშვილის ხსოვნას)

ვარდების მეფეს,
ყვავილთა მეფეს
საფლავში სძინავს,
მხცოვან მებაღეს,
ღირსეულ მცხეთელს,
ვარდების ახლოს
დაუდევს ბინა.

ვარდების ნამი
ქცეულა ცრემლად,
ბებრის ციხესთან
ვიღაცა გოდებს,
ბაღში ვარდები
სისხლივით ღვრიან
და ცრემლი სცვივა
ხავსიან ღოდებს.

თვალებს აცივებს
თეთრი ზამბახი,
ნიავი კოცნის
წითელ ყაყაჩოს,
ფეხის ცემებზე
მზე დადის ბაღში
და მეყვავილის
საფლავს დარაჯობს.

მზე ბროწეულებს
უნთებს კელაპტრებს,
წვიმა ბაღს ხშირად
უგზავნის საზრდოს,
რომ ყვავილების
მეფის საფლავზე,
ყვავილთა ჯარი
წამოიზარდოს.

მცხეთის ჯვარსა და
ლაჟვარდებს ახსოვთ,
ის, ვინც ყვავილთა
ცრემლებში ბრწყინავს;
— ნუ ვიხმაურებთ,
აქ სადღაც ახლოს,
ვარდების მეფეს
საფლავში სძინავს.

რაც შენ მოგასწარი

(ვუძღვნი „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე მთარგმნელს ბორის გაპონოვს)

არც ძეგლი, არც წარწერა, — რამე ამდაგვარი,
შენს სურათს ვეძებ და ისიც არსად არი.
ბევრმა არც კი იცის, რა ხარ, ვინ იყავი,
გენიოსის ბედი რომ შენც გაიყავი.
ფრთების გასაშლელად აღარ გეყო ხანი,
თუმც ივრითზე თარგმნე ვეფხისტყაოსანი.
სოლომონის ენით აამღერე შოთა,
რა ნიჭს განაგებდი, რა კალამი გქონდა!
და ვაი, რომ მაინც მზის ალმური გწვავდა,
თუმცა საქართველო რუსთაველად გწამდა.
საქართველოს სივრცე არ კმაროდა განა, —
ნეტავ რას მოგცემდა სხვა მზე, სხვა ქვეყანა? —
რას მოგცემდა ისეთს პალესტინის მიწა,
შენი სიჭაბუკის საფლავად რომ იქცა?
იქნებ სიკვდილზედაც იყო უფრო ძნელი,
რომ საქართველოდან არ გადმოგწვდა ცრემლი.
რა შორს დარჩა ახლა გზები გასავლელი,
შენი ნიჭისაგან დღეს არაფერს ველით.
მაგრამ რაც შენ შესძელ, რაც შენ მოასწარი,
ისიც მარადისი უკვდავება არი!

1973 წ. მაისი.

სიზმარივით მაგონდება საქართველო

(ისრაელი — მოშე შიმშალაშვილს)

მდინარეთა აზვირთება და ხმაური ჩანჩქერების,
ჩემი ეზო, ჩემი სახლი, ტალავერი ნაფერები.
თვალწინ მიდგას შოვის მთები, დახვეული რაჭის გზები,
შოვის მწვანე ფიჭვნარები და უწერის მჟავე-წყლები.
მენატრება ჩემი ონი, ჩემი სახლი, ჩემი ეზო,
ჩემის ნებით დათმობილი, სხვისი თქმით და უმიზეზოდ.
მივატოვე, რაც მიყვარდა, რაც მაძლევდა სულის
საზრდოს,
ახლა ვინღა შევიყვარო, ახლა როგორ გავიზარდო.
რა შორს დარჩა ნააკვნარი, თბილი გული, თბილი კერა,
ო, რა მწარედ, ო, რა მწარედ მოტყუების გავხდი წერა.
რას დავსდევდი სხვების ძახილს, რა მინდოდა ისრაელში,
ესე ტყუილად ჩემი თავი რად ჩავაგდე განსაცდელში.
რას ვეძებდი, რა მინდოდა, რად ვერ ვიცან თავი ჩემი,
ვაი, როგორ დავიჩაგრე, ვაი როგორ ვიტანჯები!
ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ტყეში ჩიტი ჩამკვდარიყო,
ღირსი ვარ თუ არ ვარ ღირსი, ჩემი გული მანდაც იყოს...
სიზმარივით მაგონდება სანეტარო საქართველო.

ქალი ლეგენდა

ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები

დედამ საბალეტო სკოლაში მიაბარა, მამამ კი სახაპორტო ველოსიპედი უყიდა... ბავშვის ჯარშონილ ალზრდაზე მეოცნებე მშობლებმა პატარა ნინოს ცურვაც ასწავლეს და ჩოგბურთის თამაშიც, ცხენზე ამხედრებაც და ციგურებზე სრიალიც. ტყვიის მიზანში მტანაც და ბურთის კალათში ჩაგდებაც. მრავალსახეობას თვითონ ნინომ დაუსვა წერტილი. თოთხმეტი წლისამ მტკიცედ გადაწყვიტა ცხოვრება „სპორტის დედოფლისათვის" — მძლეოსნობისათვის მიეძღვნა. სულ რაღაც ორ წელიწადში დაამყარა საბჭოთა კავშირის რეკორდი ადგილიდან სიგრძეზე ხტომასა და სამმაგ ხტომაში, მოლოდინი არ გაუმართლდა. მუხლი იტკინა. ტრავმა მეტად სერიოზული იყო. დიდ სპორტზე ოცნებას თითქოს ფრთები შეეკვეცა, მაგრამ ადვილად არ დათმო. მტკიცე ნებისყოფისა და ძლიერი სულის პატრონმა შეძლო ყველაფრის თავიდან დაწყება — ნინომ ბადროს სატყორცნელ სექტორს მიაშურა.

1937 წელს ოდესაში მცხოვრებმა 18 წლის ქართველმა ქალიშვილმა **ნინო დუმბაძემ** მთელი სპორტის სამყარო აალაპარაკა — ბადრო 41 მეტრსა და 88 სანტიმეტრზე გადააგდო და საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა. ორიოდე თვის შემდეგ ამ შედეგს თითქმის ოთხი მეტრი წაუმატა და ოლიმპიური ჩემპიონის გიზელა მაუერ-მაიერის მსოფლიო რეკორდი (48 მეტრი და 31 სანტიმეტრი) კითხვის ქვეშ დააყენა. ყველამ აგრძნო, დღეს თუ არა ხვალ, ნინო პლანეტაზე უძლიერესის სახელს მოიხვეჭდა.

1938 წლიდან ნინო დუმბაძე თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. ყოველდღიური წვრთნა, ახლის ძიება, დაუოკებელი სწრაფვა დასახული მიზნისაკენ, და აი მსოფლიო რეკორდიც დამყარებულია — 1939 წელს ნინომ ნატყორცნმა ბადრომ 49 მეტრსა და 88 სანტიმეტრზე იფრინა! სამწუხაროდ, ქართველი სპორტსმენის ეს შედეგი მსოფლიო რეკორდების ცხრილში არ იქნა ფიქსირებული — ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო საერთაშორისო მძლეოსნური კავშირის წევრი.

გადიოდა წლები. ნინო დუმბაძის სარბიელზე თითოეული გამოსვლა გამარჯვებით და საკავშირო რეკორდით მთავრდებოდა, მის მიერ ნატყორცნი ბადრო ყოველთვის სცილდებოდა მსოფლიო რეკორდის მაჩვენებელ ალამს. თუ ციფრების ენით ვიტყვით, ქართველმა სპორტსმენმა, სანამ ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო მძლეოსნური კავშირის წევრი გახდებოდა, 32-ჯერ გაიმარჯვა ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

— ეს იყო მოსკოვში 1948 წელს. ჩვენი ქვეყანა სასპორტო საზოგადოება „დინამოს" 25 წლისთავს ზეიმობდა. სხვებთან ერთად ამ სპორტულ ფორუმში ნინო დუმბაძეც მონაწილეობდა. როგორც ყოველთვის, მაყურებელი ქართველი მძლეოსნისაგან ახალ მსოფლიო რეკორდს მოითხოვდა. მისი სახელის ხსენება ტრიბუნებს აზანზარებდა. თვალტანადობით შემკული, სახეზე ნაკვთების ჰარმონიული მთლიანობით გამორჩეული ნინო ბადროს სატყორცნი სექტორისაკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდა, ციბრუტივით დატრიალდა და მძლავრი მარჯვენით ნატყორცნ ბადროს თვალი მშვიდად გააყოლა. 53 მეტრი და 25 სანტიმეტრი — ამცნო ადგილობრივმა დიქტორმა მაყურებლებს თბილისელი სპორტსმენის შედეგი. ძნელი აღსაწერია, რა ხდებოდა მაშინ სტადიონზე: სპორტის მოყვარულები ფეხზე ამდგარნი ტაშის გრიალით შეხვდნენ ამჯერად უკვე ოფიციალური პირველი საბჭოთა მსოფლიო რეკორდის დაბადებას.



მცინარი ნინო ბადროს სატყორცნი სექტორისაკენ

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ კურიოზს: იმ დღეებში ლონდონში გამართულ ოლიმპიურ ასპარეზობაზე, სადაც ჩვენი სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ, ოსტერ მაიერმა შედეგით — 41 მეტრი და 81 სანტიმეტრი ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა(!).

1952 წელს ჰელსინკში გამართულ ოლიმპიურ ასპარეზობაზე 33 წლის ნინო დუმბაძე მხოლოდ და მხოლოდ გუნდის ინტერესებისათვის გაემგზავრა. მძიმე ოპერაციის შემდეგ მისგან რაიმე მაღალ შედეგს, რა თქმა უნდა, არავინ მოელოდა. და მაინც სახელოვანი სპორტსმენი შინ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

დიდი სპორტიდან ლამაზად წავიდა. 1952 წლის ბოლოს გამართულ ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ბადრო 57 მეტრსა და 04 სანტიმეტრზე ტყორცნა, დაამყარა მსოფლიო რეკორდი, რომელიც 1960 წლამდე ხელშეუხები იყო.

23 წლის განმავლობაში იწოდებოდა ნინო დუმბაძე უძლიერესად საბჭოთა კავშირში, 21 წლის განმავლობაში კი მსოფლიოს ვერც ერთი ქალი ვერ ისროდა მასზე შორს ბადროს. საბჭოთა კავშირის ცხრაგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონი ჩვენში დღესაც გამარჯვების სიმბოლოდ არის მიჩნეული. ნინო დუმბაძეს ყოველთვის იმ სპორტსმენებს შორის იხსენიებენ, რომლებმაც გვასახელეს, შორს გაიტანეს საქართველოს სახელი.

და რა გასაკვირია, თუ უცხოელი სპორტის მოყვარულები, როდესაც საქართველოში მოგზაურობენ, თავიანთ შთაბეჭდილებებს ესე უზიარებენ მკითხველებს — ვიყავით ქვეყანაში, სადაც ლეგენდარული ნინო დუმბაძე ცხოვრობსო...

სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მოლვაწე ნინო დუმბაძე დღეს უმაღლესი სპორტული დაოსტატებას რესპუბლიკური სკოლის დირექტორია, თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ახმარს, მათზე ზრუნვაში აღამებს და ათენებს, სურს რაც შეიძლება მეტი სახელოვანი სპორტსმენი ჰყავდეს სამშობლოს. ამ საქმეშიც ბედნიერია: მისი სკოლიდან მიუნხენის ოლიმპიადაზე სამი სპორტსმენი გაემგზავრა, აქედან ერთი — ნიჩბოსანი ვიქტორ კრატასუკი შინ ოქროს მედლით დაბრუნდა.

დედამ თავისი ვაჟიც საკუთარ კვალში ჩააყენა — იგი ორჯერ იყო ათჭიდში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

როდესაც საუბარში ღვაწლმოსილმა სპორტსმენმა და აღმზრდელმა თავისი სამი წლის შვილიშვილი ახსენა, თვალში სითბო ჩაუდგა და ამაყად მითხრა, მემკვიდრედ მინდა აღვზარდოო.

რევაზ მაჭავარიანი.

მეორე პროფესია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რამდენიმე წელიწადია არსებობს ხელოვნების საზოგადოებათა პროფესიათა ფაკულტეტი. თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს საღამოს საათებში აქ შესაძლებლობა მიეცემათ მეორე პროფესია დაეუფლონ სახვითი ხელოვნების, კინოდრამატურგიის, მუსიკის, მხატვრული ფოტოს გადაღების ხელობას. წლების განმავლობაში ფაკულტეტზე დაოსტატდნენ ახალგაზრდა ფერმწერები და გრაფიკოსები, მოქანდაკენი და ვოკალისტები, მუსიკისმცოდნენი და პიანისტები, კინოდრამატურგები და მხატვრული ფოტოს ოსტატები, რომლებიც ძირითადად სხვა ფაკულტეტზე სწავლობენ, მაგრამ ხელოვნების სიყვარულს ნაზიარებნი აქ იღებენ სამაგისო განათლებას მეორე პროფესიაში.

ახალგაზრდათა აღზრდასა და დაოსტატებაზე ზრუნავენ დამსახურებული მხატვრები ეკატერინე ბაღდავაძე და გიორგი როინიშვილი, მამია ბაბაძე, პროფესორი ლევან აბაშიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები, კინორეჟისორები რეზო ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე, კინოდრამატურგები რეზო თაბუკაშვილი, ერლომ ახვლედიანი და ამირან ჭიჭინაძე, დოცენტები ნიკო ლეონიძე და თენგიზ ჩოჩუა, პროფესორები მამია კამოევა და კომპოზიტორი ნინელი გუდიაშვილი, დამსახურებული არტისტი თენგიზ ზაალიშვილი, პედაგოგები ნოდარ ყირიმნიშვილი, ვლადიმერ რუსეცკი და სხვები.


წლეულს ფაკულტეტს კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება ჰქონდა. ფაკულტეტი დაამთავრა 43 კაცმა — 9 ფერმწერმა, ხუთმა გრაფიკოსმა, სამმა მოქანდაკემ, შვიდმა მხატვრული ფოტოს ხელოვანმა, ოთხმა კინოდრამატურგმა, ორმა ვოკალისტმა, ცხრა მუსიკისმცოდნემ, ოთხმა პიანისტმა.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში მოეწყო სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც ბევრი დამთვალიერებელი მიიზიდა. გავიცანით ფერწერული ტილოების ავტორები — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ლულუ დადიანი, ისტორიკოსები ნანული მეტრეველი და იზა გაბრიელაშვილი, ფილოლოგი იდა ოცხელი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის სტუდენტი ანზორ ბაშინაურიძე, სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული ირინა მერაბიშვილი, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი რომან კუპრეიშვილი. აქვე გავიცანით საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულების ვლადიმერ რამიშვილის, ონარ ცხვედაძისა და ნათელა ბიჭაშვილის, პედაგოგების — ნელი ამბროსოვასა და ბორის სარჭისიანის გრაფიკული ნამუშევრები, მაგული კობაიძის, ბესიკ ესაკიასა და ჰამლეტ ელიზბარაშვილის ქანდაკებანი. აღსანიშნავია, რომ საგამოცდო კომისიამ სტუდენტთა ნამუშევრების უმეტესობა ფრიადზე შეაფასა.

სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, როცა კურსდამთავრებულებს გადაეცათ მოწმობები, სიტყვები წარმოთქვეს ფაკულტეტის დეკანმა გიორგი ხარატიშვილმა, უნივერსიტეტის პრორექტორმა სერგო ჯორბენაძემ, კინოდრამატურგმა რეზო თაბუკაშვილმა, დამსახურებულმა მხატვარმა ეკატერინე ბაღდავაძემ და სხვებმა.

კურსდამთავრებულებმა მადლობა გადაუხადეს აღმზრდელებს იმ დიდი ღვაწლისათვის, რაც მათ წლების განმავლობაში გასწიეს ახალგაზრდათა დაოსტატებისათვის.

ლია მიქაძე



ბიჭვინთა დღეს

ᲤᲐᲖᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ
ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲜᲘᲜᲝ ᲒᲝᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 14
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 99-63-41, 93-66-22
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲐᲛᲪᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“
ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲪᲔᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛ